



„დამტკიცებულია“

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ
დადგენილება № 46, 30.09.2025 წ.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ვეტერინარიის მაგისტრი კოდი: 0841
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია: საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის, ვეტერინარიის სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით. კერძოდ, გათვალისწინებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული „ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №MES 8 25 0000224657, 04/03/2025წ.), უნივერსიტეტის მისია, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ, ბელგიის გენტის უნივერსიტეტის, ესტონეთის სიცოცხლისშემსწავლელ მეცნიერებათა (ტარტუს) უნივერსიტეტის, ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (ელგავა, ჯორჯიის უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის კოლეჯის, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს ევროპის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და სხვ. ვეტერინარიის მიმართულებით არსებული სწავლებისა და სწავლის სისტემები, რომლებიც ახორციელებენ სწავლებას ვეტერინარიის მიმართულებით, აგრეთვე, დარგის სპეციფიკა, შრომის ბაზრისა</p>

და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნები.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია ვეტერინარიის - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი, თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებითა და კვლევითი კომპონენტით.

პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს და წარმოდგენილია შემდეგი მოცულობითა და სტრუქტურით:

თავისუფალი კომპონენტის და საბაზისო განათლების სასწავლო კურსები – 73 კრედიტი, ანუ საერთო კრედიტების 25%-ი, მათ შორის:

- თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი;
- თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 3 კრედიტი;
- საბაზისო განათლება - 30 კრედიტი;

ვეტერინარიის - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტი - 227 კრედიტი, ანუ საერთო კრედიტების 75%-ი, მათ შორის:

- პრეკლინიკური მეცნიერებები - 45 კრედიტი;
- კლინიკური მეცნიერებები - 98 კრედიტი;
- ცხოველების მომშენებლობა - 19 კრედიტი;
- ცხოველური სურსათის ჰიგიენა და კონტროლი - 15 კრედიტი;
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 14 კრედიტი, მათ შორის:
 - ვეტერინარიის მიმართულებიდან - 8 კრედიტი;
 - მეცხოველეობის მიმართულებიდან - 6 კრედიტი;
- სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა - 20 კრედიტი;
- **სამაგისტრო ნაშრომი - 16 კრედიტი.**

პროგრამაში შემავალი კვლევითი კომპონენტისა და სასწავლო კურსების მოცულობა წარმოდგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად და ერთი კრედიტი 25 ასტრონომიული საათის ტოლია. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე სასწავლო წლის განმავლობაში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა. კურიკულუმში სასწავლო კურსები განლაგებულია პრერეკვიზიტის პრინციპის დაცვით. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა ხუთ წელს, ანუ 10 სემესტრს შეადგენს.

პროგრამის ხელმძღვანელი

ხელმძღვანელი - ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლევან მაკარაძე**;
თანახელმძღვანელი - ვეტერინარიის დოქტორი, პროფესორი **ნინო მილაშვილი**
(სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ებში)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მომზადდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ტრანსფერული უნარებისა და კომპეტენციის მქონე, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი ვეტერინარიის მაგისტრი, რომელიც პროფესიული ეთიკის ფარგლებში, ორიენტირებული იქნება როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაზე, წარმართავს მრავალმხრივი კომპლექსური საქმიანობას ვეტერინარიის სფეროში, მათ შორის, ვეტერინარიის მიმართულებით საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტაციის შედგენაში მონაწილეობა. 2. ცხოველისა (მათ შორის შინაური ცხოველის) და ფრინველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ინფექციური, ინვაზიური, არაგადამდები დაავადებაზე დიაგნოზის დასმა, ლაბორატორიული და დიფერენციული სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ჩატარება, მკურნალობა, პრევენციული (პროფილაქტიკური) ღონისძიებების ჩატარება და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა; ქირურგიული, გინეკოლოგიური ჩარევები, პაციენტის კლინიკური სტატუსის შეფასება და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა; 3. მოსახლეობის დაცვა ცხოველისა და ადამიანის საერთო (ზოონოზური) დაავადებებისაგან და „ერთიანი ჯანდაცვის“ კონცეფციის პრინციპების დაცვა; ქვეყნის ვეტერინარული კეთილსაიმედობის უზრუნველყოფა; 4. უვნებელი ცხოველური პროდუქტების წარმოების მიზნით საკლავი ცხოველების დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომი ვეტერინარული შემოწმება, ცხოველური წარმოშობის სურსათის ინსპექცია და კონტროლი; 5. ჯანმრთელი ქსოვილების სახის, ორგანოების ტოპოგრაფიისა და ფიზიოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა; გაკვეთისა და სასამართლო-სავეტერინარო ექსპერტიზის კვალიფიციურ დონეზე ჩატარება; 6. სამკურნალწამლო ფორმების დამზადება. ახალი პრეპარატების ექსპერიმენტული, პრეკლინიკური და კლინიკური გამოცდის ჩატარების ორგანიზება, სამკურნალო და პროფილაქტიკური მოქმედების პრეპარატების სწორად შერჩევა და რეცეპტის გამოწერა; 7. ცხოველების მოშენება, მოვლა-შენახვისა და პროდუქციის წარმოების ისეთი სისტემების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანმრთელი პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდას, მათ კეთილდღეობასა და დაცვას; <p>მთლიანობაში, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სრულად გამოხატოს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილის შეტანა შეუძლია ვეტერინარიის დარგის განვითარებაში, აგრეთვე, როგორ უზრუნველყოფს სტუდენტის პიროვნული პოტენციალის სრულად რეალიზებას.</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლებისა და შესაბამისი დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები. პროგრამაზე მიიღებიან, აგრეთვე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:</p>

	<ul style="list-style-type: none"> ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა (ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა,); მათემატიკა ან/და ისტორია, ბიოლოგია, ქიმია. <p>(აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). სტუდენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნივერსიტეტში უნდა ჩააბაროს უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტი ინგლისური ენის ფლობის დონის განსაზღვრად (უცხო ენების შემსწავლელი სავალდებულო და/ან არჩევითი საგნები სტუდენტებისთვის ცოდნის დონის შესაბამისად იქნება შეთავაზებული). უნივერსიტეტში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები იძლევა დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას ან პრაქტიკულ საქმიანობაში მოღვაწეობას ცოდნის მუდმივი განახლების გზით.</p> <p>სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, ასევე გათვალისწინებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №MES 8 25 0000224657, 04/03/2025წ.), უნივერსიტეტის მისია, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ, ბელგიის გენტის უნივერსიტეტის, ესტონეთის სიცოცხლისშემსწავლელ მეცნიერებათა (ტარტუს) უნივერსიტეტის, ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (ელგავა, ჯორჯიის უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის კოლეჯის, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს ევროპის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და სხვ. ვეტერინარიის მიმართულებით არსებული სწავლებისა და სწავლის სისტემები, რომლებიც ახორციელებენ სწავლებას ვეტერინარიის მიმართულებით, აგრეთვე, დარგის სპეციფიკა, შრომის ბაზრისა და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნები. სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები და ანალოგიური პროგრამების კურსდამთავრებულები.</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განსაზღვრავს ცხოველთა ბიოლოგიური თავისებურებებს, ცხოველების ტიპურ პათოლოგიურ პროცესებსა და მათ გამოვლინებებს სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში ტრანსფერული უნარების გამოყენებით, აიდენტიფიცირებს ნორმასა და პათოლოგიას; 2. აცნობიერებს: ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობას; ცხოველური წარმოშობის სურსათისა და ცხოველების დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარული კონტროლის აუცილებლობას, საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა-შეფასებას და თავიდან აცილებას. <p>უნარი</p>

	<p>3. ლაბორატორიული და დიფერენციული სადიაგნოსტიკო გამოკვლევების საფუძველზე ახდენს ცხოველისა (მათ შორის შინაური ცხოველის) და ფრინველის დაავადებების დიაგნოსტიკას, მკურნალობას, გეგმავს პრევენციულ (პროფილაქტიკურ) ღონისძიებებს, აფასებს მოსალოდნელ შედეგებს. ახორციელებს ქირურგიულ, გინეკოლოგიურ ჩარევებს და საზღვრავს პაციენტის კლინიკურ სტატუსს. ახორციელებს სასამართლო-სავეტერინარო ექსპერტიზას.</p> <p>4. იცავს მოსახლეობას ცხოველისა და ადამიანის საერთო (ზოოზოზური) დაავადებებისაგან და „ერთიანი ჯანდაცვის“ კონცეფციის პრინციპების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ქვეყნის ვეტერინარულ კეთილსაიმედობას.</p> <p>5. ამზადებს ან/და იღებს სამკურნალო წამლო ფორმებს. აორგანიზებს ახალი პრეპარატების ექსპერიმენტული, პრეკლინიკური და კლინიკური გამოცდის ჩატარებას, სწორად არჩევს სამკურნალო და პროფილაქტიკური მოქმედების პრეპარატებს და გამოწერს რეცეპტს;</p> <p>6. უზნებელი ცხოველური საკვები პროდუქტების წარმოების მიზნით ახორციელებს: საკლავი ცხოველების დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომი ვეტერინარული შემოწმებას, ცხოველური წარმოშობის სურსათის ინსპექციასა და კონტროლს;</p> <p>7. ცხოველების მოშენების, მოვლა-შენახვისა და პროდუქციის წარმოებისთვის იყენებს ისეთ სისტემებს, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელი პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდას, მათ კეთილდღეობასა და დაცვას;</p> <p>ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა</p> <p>8. ვეტერინარიის დარგში მიღებული პროფესიული ცოდნით, ტრანსფერული უნარებით, საკუთარი კვლევებისა და გამოცდილების საფუძველზე, პროფესიული ეთიკის დაცვით მონაწილეობს ვეტერინარიის მიმართულებით საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტაციის შედგენაში. წვლილი შეაქვს ვეტერინარული პრაქტიკის განვითარებაში, იღებს პასუხისმგებლობას სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე; დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარ სწავლებას უმაღლესი განათლების მესამე საფუხერზე - დოქტორანტურის მიმართულებით ან/და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის მუდმივი განახლების გზით.</p>
<p>სწავლა-სწავლების მეთოდები</p>	<p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვ., სწავლა-სწავლების მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი, ესე და სხვ. მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში).</p> <p>სწავლება/სწავლის პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს სწავლება სწავლის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც პროგრამის რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.</p> <p>სწავლების პროცესში გამოიყენება კონკრეტული მეთოდები, როგორცაა:</p> <p>ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი სასწავლო კურსის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი სასწავლო კურსის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად</p>

დასრულებული. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, ნახაზები, ცდები და სხვა თვალსაჩინოებანი უნდა ემსახურებოდეს ლექციის იდეის ახსნას. ლექციამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების დიალექტიკური პროცესის სწორი ანალიზი და უნდა აიგოს კონკრეტულ გარემოში სტუდენტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის, ძირითად მეცნიერულ პრობლემათა შეცნობასა და გაგებაზე ორიენტირებით. ლექცია ზემოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა. ლექციის მეთოდური საკითხების დამუშავების დროს პედაგოგი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მასალის გადაცემის თანმიმდევრობაზე, ლექციის სტილზე, აუდიტორიასთან კავშირზე. ლექცია უნდა მიმდინარეობდეს სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით, მეთოდურ საშუალებათა და თვალსაჩინოების ფართო გამოყენებით. თეორიული მასალა, რომელიც ლექციაზე გადაიცემა, კარგად აღიქმება სამუშაო ჯგუფში მუშაობით, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის ან სამუშაო ჯგუფში/ პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და დაამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სადაც მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, ანალიზი, სინთეზი, კეთდება დასკვნები. პროფესორი/პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული/ ლაბორატორიული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების დანიშნულებაა თეორიული ცოდნის პრაქტიკული ამოცანებით გაღრმავება და განმტკიცება, რაც თეორიული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველს წარმოადგენს.

წიგნზე მუშაობა - სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა, მათი შესწავლა, ასევე, ლიტერატურის მოძიება და კონკრეტული თემების დამუშავება წყაროების გამოყენებით. ეს ხელს უწყობს საპრეზენტაციო მოხსენებების, რეფერატისა და დისკუსია-დებატების მომზადებას, ასევე, გამოუმუშავებს სტუდენტს როგორც მასალის ათვისების, ისე რელევანტური წყაროების მოძიების, შესწავლისა და შეფასების უნარებს;

წერიტი მუშაობა - ლექციაზე ახსნილი მასალის წერილობითი ჩანიშვნაა, დასამუშავებელი საკითხის საკვანძო ასპექტების თეზისებად ჩაწერა, რეფერატის, ესეს ან სხვა დავალების წერილობით შესრულება;

პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შექმნას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი/მიმღები ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია: აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან; სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება; ახალი კომპეტენციების გამომუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განახლება

სწარაფცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება; მოტივირებულ ახალგაზრდებთან ურთიერთობა; უკეთ მომზადებული პროფესიონალის აღზრდის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფაში მონაწილეობა ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სწავლა-სწავლების მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ აქტივობებს:

- ვერბალური - (თემის ახსნა, გამოკითხვა, მსჯელობა, დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია);
- წერითი - (პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან და სხვ.);
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - (ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, სპეციალობასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენებისთვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.), სხვადასხვა მეთოდების კომბინირება (მაგ., ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერი);
- ჯგუფში მუშაობისას ვერბალური, შესწავლილ თემასთან დაკავშირებული, საკითხების განხილვა და დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია/მოხსენება, წერითი დავალების/პრეზენტაციის მომზადება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება).

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული: პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

თანამშრომლობითი სწავლება (cooperative) - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - მნიშვნელოვანია, დავიცვათ პრობლემის იდენტიფიცირებისა და პრობლემის მოგვარების/გადაჭრის ეტაპები. ეს ეტაპებია:

- პრობლემის განსაზღვრა;
- პრობლემისა და მისი გამომწვევი მიზეზების გაანალიზება;
- საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება/მოხილვა;
- პრობლემის გადაჭრის გზების ორგანიზება;
- პრობლემის გადაჭრის გზების შერჩევა;
- პრობლემის გადაჭრის გზების დემონსტრირება/წარდგენა.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - აქტიური პრობლემაურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია

სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით.

კლინიკური შემთხვევის (CBL) ანალიზი - CBL - case based learning - შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება - პრობლემების აქტიური ანალიზის CBL-ის მიზანია სწავლება კონკრეტული კლინიკური მაგალითების საფუძველზე (შემთხვევის ანალიზი). ეს ჯგუფური მუშაობა ეფუძნება მსჯელობას რთული, ატიპური შემთხვევის შესახებ, რომლის დროსაც საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოძიება, დიაგნოზის დიფერენცირება და განსაზღვრა. „შემთხვევა“ სწორედ ის ინსტრუმენტი ხდება, რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას განაპირობებს. თეორიისა და პრაქტიკის კომბინაციით CBL მხარს უჭერს ანალიტიკურ და კლინიკურ აზროვნებას, ანალიზისა და სინთეზის უნარების განვითარებას, ჯგუფურ მუშაობას და გადაწყვეტილების მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ სამედიცინო დისკუსიებში მონაწილეობის და კოლეგებთან შეზღუდულ დროში კომუნიკაციის ჩვევა, ანალიტიკური უნარი, ჯგუფური მუშაობის ჩვევა, ალტერნატიული აზროვნება, აქტივობების დაგეგმვისა და შედეგების განჭვრეტის უნარი.

დემონსტრირების მეთოდები - ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენა მარტივი გზით პრობლემის არსში უკეთ წვდომის მიზნით.

ინდუქცია - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია - შემეცნების ისეთი მეცნიერული მეთოდია, რომელიც გულისხმობს საერთო ნიშან-თვისებიდან კერძო ნიშნების გამოყოფას. ამ დროს აზროვნება ისე მიმდინარეობს, რომ ყოველი კომპონენტი ლოგიკურად გამომდინარეობს წინა აზრიდან. დედუქციური მეთოდი საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ სწორი დასკვნა, გამოვყოთ საერთო პრინციპები და კანონები, რომლებიც არ მოგვცემს შეცდომის დაშვების უფლებას: ისინი კონკრეტული მოვლენის ფაქტობრივი სინამდვილის დადგენაში გვეხმარება.

ანალიზი - გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზი - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. სწავლების პროცესში გამოიყენება ასევე: სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება; ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული ტექნიკის ან/და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გამოყენებით, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის და ლიტერატურის მიმოხილვა.

სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას - სტუდენტები ეჩვევიან დამოუკიდებელ ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას; მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური

	<p>გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას; საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას და მოძიებული ინფორმაციის ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, ვერბალურ/წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნებისა და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა, პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო ჯგუფისა და სასწავლო კურსის თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე. სასწავლო კურსის სილაბუსებში კონკრეტულად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის განხორციელებისას გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდები.</p>
<p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p> <p>აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.</p> <p>სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც ასახულია კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p>

სტუდენტის ცოდნა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. დაუშვებელია კრედიტების მინიჭება მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო. თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად. საგანი ითვლება ჩაბარებულად და კრედიტების მინიჭება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასებისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და მიიღო დადებითი შეფასება თითოეულ მათგანში.

შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ასახულია სილაბუსებში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის, (FX) ვერ ჩააბარა - მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) ჩაიჭრა - შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>ვეტერინარის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ვეტერინარიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და უფლება ექნებათ, იმუშაონ:</p> <ul style="list-style-type: none"> • სავეტერინარო კლინიკები და ლაბორატორიები; • სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები; • საგანმანათლებლო დაწესებულებები; • შესაბამისი სახელმწიფო უწყებები; • ფარმაცევტული საწარმოები; • სასაკლაოები; • ცხოველთა კოსმეტიკური კაბინეტები; • ზოომდაზიები, ზოოპარკები, ვივარიუმები, აკვარიუმები, ტერარიუმები, იპოდრომები, ცხოველთა თავშესაფრები; • მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები და ფაბრიკები, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის მეურნეობები, კინოლოგიური სამსამსახური; • სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ცენტრები და ინსტიტუტები; • აგრარული ბაზრები, სურსათის ბიზნეს ოპერატორები, დაცული ტერიტორიები და სხვა.
<p>სწავლის გაგრძელების საშუალება</p>	<p>კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურზე დოქტორანტურაში, სადოქტორო პროგრამებზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.</p>
<p>პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</p>	<p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:</p> <p>სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები (ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, ინტერაქტიული დაფები, ლეპტოპები, პროექტორები, ქსეროქსი, სკანერი, კამერები, ფოტო-აუდიო მასალები) აბსოლუტურად ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისათვის.</p> <p>საკონფერენციო დარბაზები, საპროფესორო;</p> <p>კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, განახლებადი წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.</p> <p>კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლება/სწავლის პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;</p> <p>მიკრობიოლოგიის, ანატომიის, პათოლოგიური ანატომიისა და ჰისტოლოგიის, კლინიკური დიაგნოსტიკის, ქიმიის და აგრეთვე, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა სახის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები, კლინიკური მიმართულების ობიექტები, აფთიაქები, ცხოველთა სასაკლაოები, მეცხოველეობის მიმართულების საწარმოები-ობიექტები და სხვა; უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული მსხვილი რქოსანი პირუტყვის ფერმა, სასწავლო დანიშნულების ცხოველებით;</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული</p>

	<p>შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში (სკოპუსი, ელსევიერი და სხვა).</p> <p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკის, ასევე სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული უნარ-ჩვევების ასათვისებლად პრაქტიკული ტრენინგი განხორციელდება უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული მსხვილი რქოსანი პირუტყვის სასწავლო ფერმასა და ხელშეკრულებებითა და მემორანდუმებით განსაზღვრულ შემდეგ ობიექტებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო; • ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ვეტერინარიული კლინიკა “ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის”; • სამეგრელო -ზემო სვანეთის ვეტერინარული ასოციაციის ვეტერინარიული კლინიკა; • ჩხოროწყუს ვეტერინარიული კლინიკა ინოვერტი; • ჩხოროწყუს „მეცხოველეობის განვითარების ცენტრი“ • მცირე მეწარმე ნატო გაბისონია „ვეტერინარული აფთიაქი“ • ინდ.მეწარმე როინ გვილავა მეფრინველეობის სასაკლაო „მეგრული ქათამი“ • ინდ.მეწარმე ელგუჯა ჯულაყიძე ცხოველთა სასაკლაო; • ინდ.მეწარმე ნოდარი ხარჩილავა. თევზის სალიფსიტე მეურნეობა; • ააიპ საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება; • ახალგაზრდა მკვლევართა საინიციატივო ჯგუფი.
<p>პროგრამის ადამიანური რესურსი</p>	<p>ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე 43 აკადემიური/მოწვეული პერსონალი. კერძოდ, 5 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი, 2 ასისტენტი, 20 მოწვეული სპეციალისტი.</p> <p>აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობიდან ვეტერინარიის საბაზო განათლების მქონე, კონკურსის წესით არჩეული, 3 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი, 1 ასისტენტი, ხოლო მოწვეული პერსონალიდან, 9 მოწვეული სპეციალისტი. მეცხოველეობის მიმართულებით, 1 ასოცირებული პროფესორი და 3 მოწვეული სპეციალისტი.</p> <p>პროგრამის განხორციელებაში ჩართული 22 აკადემიური პერსონალიდან 19 ავილირებულია (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელისა და ჩართული პირების შესახებ იხ. თანდართულ დოკუმენტებში).</p>

პროგრამის სტრუქტურა

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

თავისუფალი სავალდებულო და საბაზისო განათლება, თავისუფალი არჩევითი სასწავლო კომპონენტით – 73 კრედიტი, ანუ საერთო კრედიტების 25%-ი, მათ შორის:

- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 3 კრედიტი;
- საბაზისო განათლება - 30 კრედიტი;

ვეტერინარიის სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 227 კრედიტი, ანუ საერთო კრედიტების 75%-ი, მათ შორის:

- პრეკლინიკური მეცნიერებები - 45 კრედიტი;
- კლინიკური მეცნიერებები - 98 კრედიტი;
- ცხოველების მომშენებლობა - 19 კრედიტი;
- ცხოველური სურსათის ჰიგიენა და კონტროლი - 15 კრედიტი;
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 14 კრედიტი, მათ შორის:
 - ვეტერინარიის მიმართულებიდან - 8 კრედიტი;
 - მეცხოველეობის მიმართულებიდან - 6 კრედიტი;
- სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა - 20 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი - 16 კრედიტი.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴	
				სემესტრი												
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X			
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი																
1.		არ გააჩნია	ინგლისური 1	5/125										64	61	5
2.		ინგლისური 1	ინგლისური 2		5/125									64	61	5
3.		ინგლისური 2	ინგლისური 3			5/125								64	61	5
4.		ინგლისური 3	ინგლისური 4				5/125							64	61	5
5.		არ გააჩნია	ფილოსოფიის ისტორია	5/125										49	76	5
6.		არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5/125										49	76	5
7.		არ გააჩნია	აკადემიური წერა		5/125									35	90	5
8.		არ გააჩნია	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი		5/125									49	76	5
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 3 კრედიტი													3/75		3	
პირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები																
საბაზისო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი																
9.		არ გააჩნია	არაორგანული ქიმია	4/100										49	51	4
10.		არ გააჩნია	ცხოველთა ბიოლოგია	3/75										49	26	3

¹ ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

² დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

³ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო

⁴ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴	
				სემესტრი												
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X			
11.		ცხოველთა ბიოლოგია	ზოგადი მიკრობიოლოგია		3/75									49	26	3
12.		არ გააჩნია	ბიომათემატიკა და მათემატიკური სტატისტიკა		3/75									49	26	3
13.		არ გააჩნია	მცენარეთა ბიოლოგია			3/75								49	26	3
14.		არ გააჩნია	ფიზიკა ბიოფიზიკით			4/100								49	51	4
15.		ზოგადი მიკრობიოლოგია	ზოგადი ვირუსოლოგია			3/75								49	26	3
16.		არაორგანული ქიმია	ორგანული ქიმია		4/100									49	51	4
17.		არ გააჩნია	გარემო და მდგრადი განვითარება							3/75				49	26	3
პრეკლინიკური სასწავლო კურსები - 45																
18.		არ გააჩნია	ცხოველთა ანატომია 1	4/100										64	36	4
19.		არა გააჩნია	სავეტერინარო ლათინური ტერმინოლოგია	2/50										34	16	2
20.		ცხოველთა ანატომია 1	ცხოველთა ანატომია 2		4/100									64	36	4
21.		ცხოველთა ბიოლოგია	ჰისტოლოგია, ციტოლოგია ემბრიოლოგია		4/100									64	36	4
22.		ცხოველთა ბიოლოგია	ცხოველთა ფიზიოლოგია 1 ეთოლოგიით		4/100									64	36	4
23.		ცხოველთა ანატომია 2	ცხოველთა ანატომია 3			4/100								64	36	4

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა	
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴		
				სემესტრი													
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X				
24.		ცხოველთა ფიზიოლოგია 1 ეთოლოგიით	ცხოველთა ფიზიოლოგია 2			4/100									64	36	4
25.		ორგანული ქიმია	სავეტერინარო ბიოქიმია			5/125									49	76	5
26.		სავეტერინარო მიკრობიოლოგია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია	სავეტერინარო იმუნოლოგია				3/75								49	26	3
27.		სავეტერინარო მიკრობიოლოგია ბიომათემატიკა და მათემატიკური სტატისტიკა	სავეტერინარო ეპიდემიოლოგია და საზოგადოებრივი ჯანდაცვა				3/75								49	26	3
28.		ზოგადი მიკრობიოლოგია;	ეკოლოგია				3/75								34	41	3
29.		არ გააჩნია	პროფესიული ეთიკა					2/50							34	16	2
30.		პროფესიული ეთიკა	ვეტერინარული მომსახურების უზრუნველყოფა და სავეტერინარო კანონმდებლობა						3/75						49	26	3
კლინიკური სასწავლო კურსები - 98 კრედიტი																	
31.		ზოგადი მიკრობიოლოგია	სავეტერინარო მიკრობიოლოგია			4/100									64	36	4
32.		ცხოველთა ფიზიოლოგია 2	პათოლოგიური ფიზიოლოგია 1				3/75								49	26	3

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴	
				სემესტრი												
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X			
33.		ზოგადი ვირუსოლოგია	სავეტერინარო ვირუსოლოგია				4/100							64	36	4
34.		ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია; პათოლოგიური ფიზიოლოგია 1	პათოლოგიური ანატომია 1					4/100						64	36	4
35.		ცხოველთა ფიზიოლოგია 2, ცხოველთა ანატომია 3	ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგია					4/100						64	36	4
36.		სავეტერინარო ლათინური ტერმინოლოგია; სავეტერინარო ბიოქიმია	ფარმაკოლოგია ფარმაცით					4/100						64	36	4
37.		სავეტერინარო ბიოქიმია კლინიკური ფარმაკოლოგია რეცეპტურით	სავეტერინარო ტოქსიკოლოგია					4/100						64	36	4
38.		პათოფიზიოლოგია 1	პათოლოგიური ფიზიოლოგია 2					4/100						49	51	4
39.		ცხოველთა ანატომია 3, ცხოველთა ფიზიოლოგია 2	პროპედევტიკა რადიოლოგიით					3/75						49	26	3
40.		პროპედევტიკა	კლინიკური						4/100					64	36	4

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა	
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴		
				სემესტრი													
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X				
		რადიოლოგიით; სავეტერინარო ბიოქიმია	ლაბორატორიული დიაგნოსტიკა														
41.		სავეტერინარო ლათინური ტერმინოლოგია; ფარმაკოლოგია ფარმაციით	კლინიკური ფარმაკოლოგია რეცეპტურით						4/100					64	36	4	
42.		ცხოველთა ბიოლოგია; ცხოველთა ანატომია 3	პარაზიტოლოგია და პარაზიტული დაავადებები 1						4/100					64	36	4	
43.		პათოლოგიური ანატომია 1	პათოლოგიური ანატომია 2						4/100					64	36	4	
44.		ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგია სავეტერინარო მიკრობიოლოგია	მეანობა და რეპროდუქციული დაავადებები						4/100					64	36	4	
45.		ცხოველთა ანატომია 3; ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია	ქირურგია 1 ანესთეზიოლოგიით						5/125					79	46	5	
46.		ქირურგია 1 ანესთეზიოლოგიით	ქირურგია 2							4/100				64	36	4	
47.		პარაზიტოლოგია	პარაზიტოლოგია და							4/100				64	36	4	

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴	
				სემესტრი												
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X			
		და პარაზიტული დაავადებები 1	პარაზიტული დაავადებები 2													
48.		სავეტერინარო მიკრობიოლოგია; სავეტერინარო ბიოქიმია.	ვეტერინარული ლაბორატორიული კვლევის მეთოდები							4/100				64	36	4
49.		სავეტერინარო ეპიდემიოლოგია და საზოგადოებრივი ჯანდაცვა; პათოლოგიური ანატომია 2	ინფექციური დაავადებები 1							4/100				64	36	4
50.		პროპედევტიკა რადიოლოგიით; პათოლოგიური ფიზიოლოგია 2	თერაპია 1							4/100				64	36	4
51.		თერაპია 1	თერაპია 2								4/100			64	36	4
52.		ქირურგია 2	ქირურგია 3								4/100			64	36	4
53.		ინფექციური დაავადებები 1	ინფექციური დაავადებები 2								4/100			64	36	4
54.		პათოლოგიური ანატომია 2	გაკვეთა და სასამართლო ვეტერინარია									4/100		64	36	4
55.		ინფექციური დაავადებები 1	ზოონოზები									3/75		49	26	3
ცხოველური სურსათის ჰიგიენა და კონტროლი - 15 კრედიტი																
56.		სავეტერინარო მიკრობიოლოგია	ცხოველური სურსათის უვნებლობა									3/75		49	26	3

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა	
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴		
				სემესტრი													
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X				
57.		ცხოველთა ანატომია 3; ცხოველური სურსათის უვნებლობა	ხორცის ინსპექტირება										3/75		49	26	3
58.		ცხოველური სურსათის უვნებლობა ცხოველთა ჰიგიენა და კეთილდღეობა	რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია, ხარისხი და უვნებლობა										4/100		64	36	4
59.		ცხოველური სურსათის უვნებლობა ცხოველთა ჰიგიენა და კეთილდღეობა	ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია, ხარისხი და უვნებლობა										5/125		64	61	5
ცხოველების მომშენებლობა - 19 კრედიტი																	
60.		ზოგადი მიკრობიოლოგია	ცხოველთა ჰიგიენა და კეთილდღეობა					3/75							49	26	3
61.		ცხოველთა ფიზიოლოგია 2, მცენარეთა ბიოლოგია	ცხოველთა კვება 1					3/75							49	26	3
62.		არ გააჩნია	სოფლის მეურნეობის ეკონომიკა					3/75							33	42	3
63.		ცხოველთა კვება 1	ცხოველთა კვება 2					3/75							49	26	3
64.		ცხოველთა ფიზიოლოგია 2; ცხოველთა კვება 1	ცხოველების მომშენებლობა და გენეტიკა					4/100							64	36	4

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა	
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴		
				სემესტრი													
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X				
65.		ცხოველთა კვება 2; ცხოველთა ჰიგიენა და კეთილდღეობა	მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლები							3/75					34	41	3
სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა - 20 კრედიტი																	
66.		ცხოველთა კვება 2; მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლები; ცხოველთა ჰიგიენა და კეთილდღეობა; ცხოველების მომშენებლობა და გენეტიკა	პრაქტიკული ტრენინგი მეცხოველეობის ფერმაში									3/75			58	17	3
67.		მეანობა და რეპროდუქციული დაავადებები;	პრაქტიკული ტრენინგი გამრავლების ბიოტექნოლოგიასა და მეანობა რეპროდუქციულ დაავადებებში									4/100			82	18	4
68.		კლინიკური სასწავლო კურსები	პრაქტიკული ტრენინგი წვრილი ცხოველების მედიცინაში											5/12 5	98	27	5
69.		კლინიკური სასწავლო კურსები	პრაქტიკული ტრენინგი პროდუქციული ცხოველების მედიცინაში											5/12 5	98	27	5
70.		რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია, ხარისხი და	პრაქტიკული ტრენინგი სურსათის უვნებლობასა და ვეტერინარულ ზედამხედველობაში											3/75	58	17	3

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა			
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴				
				სემესტრი															
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X						
		უვნებლობა; ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია, ხარისხი და უვნებლობა; ხორცის ინსპექტირება																	
კვლევითი კომპონენტი - 16 კრედიტი																			
71.		პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსები	სამაგისტრო ნაშრომი													16/400	31	369	16
არჩევითი სასწავლო კურსები ვეტერინარიისა და მეცხოველეობის მიმართულებიდან - 14 კრედიტი																			
ვეტერინარიის მიმართულებიდან - 8 კრედიტი																	8		
72.		არ გააჩნია	ვეტერინარული ალერგოლოგია და დერმატოლოგია									3/75				34	41		
73.		არ გააჩნია	ოფთალმოლოგია									2/50				34	16		
74.		არ გააჩნია	თევზისა და ლიფსიტების დაავადებები									3/75				34	41		
75.		არ გააჩნია	ფრინველის დაავადებები									3/75				49	26		
76.		არ გააჩნია	ფუტკრის დაავადებები									2/50				34	16		
77.		არ გააჩნია	ძაღლისა და კატის დაავადებები									2/50				34	16		
78.		არ გააჩნია	ბაქტერიოფაგია									3/75				49	26		

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹										სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		კრედიტების რაოდენობა	
				I		II		III		IV		V		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴		
				სემესტრი													
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X				
79.		არ გააჩნია	მეწარმეობა									3/75			34	41	
მეცხოველეობის მიმართულებიდან - 6 კრედიტი																	
80.		არ გააჩნია	კინოლოგია-ფელინოლოგია									3/75			49	26	
81.		არ გააჩნია	ფრინველის ბიოლოგია მოვლა-შენახვა									3/75			49	26	
82.		არ გააჩნია	ძროხის ბიოლოგია მოვლა-შენახვა									3/75			49	26	
83.		არ გააჩნია	ღორის ბიოლოგია მოვლა-შენახვა									3/75			49	26	
84.		არ გააჩნია	ცხვრის ბიოლოგია მოვლა-შენახვა									3/75			49	26	
85.		არ გააჩნია	ფრინველის ნორმირებული კვება									3/75			49	26	
86.		არ გააჩნია	თევზისა და ლიფსიტების მოშენების ტექნოლოგია									3/75			49	26	
87.		არ გააჩნია	ეგზოტიკური ფრინველების მოშენება									3/75			49	26	
88.		არ გააჩნია	ნადირთმცოდნეობა									3/75			49	26	
		სემესტრში		28	37	32	30	32	31	29	30	22	29				
		წელიწადში		65	62	63	59	51									

დასაქმების სფერო:

ვეტერინარის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ვეტერინარის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მათ უფლება ექნებათ, დასაქმდნენ:

- სავეტერინარო კლინიკები და ლაბორატორიები;

- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- შესაბამისი სახელმწიფო უწყებები;
- ფარმაცევტული საწარმოები;
- სასაკულოები;
- ცხოველთა კოსმეტიკური კაბინეტები;
- ზოომდაზიები, ზოოპარკები, ვივარიუმები, აკვარიუმები, ტერარიუმები, იპოდრომები, ცხოველთა თავშესაფრები;
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები და ფაბრიკები, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის მეურნეობები, კინოლოგიური სამსამსახური;
- სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ცენტრები და ინსტიტუტები;
- აგრარული ბაზრები, სურსათის ბიზნეს ოპერატორები, დაცული ტერიტორიები და სხვა.

ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ

სახელი, გვარი	ლევან მაკარაძე			
თანამდებობა	ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+995 577 11 20 10	ელ-ფოსტა:	lmakaradze@yahoo.com

ინფორმაცია პროგრამის თანახელმძღვანელის შესახებ

სახელი, გვარი	ნინო მილაშვილი			
თანამდებობა	ვეტერინარიის დოქტორი, პროფესორი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+995 599511053	ელ-ფოსტა:	n.milashvili@gmail.com

ცვლილებები განხორციელდა:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილება №50, 20.10.2023 წ.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილება №50, 20.10.2023 წ.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილება №17, 15.04.2025 წ.